

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის
N41 ბინაზე, მოქალაქე რევამ ბანძელაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე რევამ ბანძელაძის განცხადება /2010 წლის 06.12 N1613/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N41 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N41 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე რევამ ბანძელაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N41 ბინაზე /საერთო ფართობი 28,23 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 17,08 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,15 კვ.მ./, მოქალაქე რევამ ბანძელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონგროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ.ანდლულაძე